საქართველოს საელჩო
ქ. სეული
주한 조지아 대사관
서울

21437-39-3-202006241313

№ 21437-39
24/06/2020

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ ალექსანდრე ხვთისიაშვილს

ბატონო ალექსანდრე,

გაცნობებთ, რომ კორონავირუსის ტესტების მწარმოებელმა, წამყვანმა კორეულმა კომპანიამ "SD Biosensor"-მა, მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოსთვის 5.000 ერთეული (250 კომპლექტი) ტესტის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ. გადაწყვეტილება გულისხმობს, როგორც კორონავირუსის ინფექციის დამდგენი ანტიგენის ტიპის, ასევე დაავადების მიერ გამოწვეული ანტისხეულების აღმომჩენი ტესტების (Standard Q COVID-19 Ag/Ab Total Test) დონაციას. გზავნილის საქართველოში ჩამოსვლის დეტალებს კომპანია დამატებით გვაცნობებს.

აქვე აღსანიშნავია, რომ აპრილის თვეში ზემოაღნიშნული კომპანიისგან, საქართველომ შეიძინა 50.000 ერთეული ანტიგენის ტიპის ტესტი, ხოლო ამჟამად მიმდინარეობს დამატებით, იგივე რაოდენობის ტესტების შესყიდვის პროცესი.

გთხოვთ, დაავალოთ სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტს აღნიშნული ინფორმაცია და თანდართული წერილი, მიაწოდოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

დანართი: 1 გვერდი.

პატივისცემით,
ოთარ ბერძენიშვილი

საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი

კორეის რესპუბლიკა, 140-863 ქ. სეული, იონგსან-გუ, ითევონ-რო, 27-ე ქუჩა, № 30.
대한민국, 140-863서울시 용산구 이태원로27길, N 30.
№ 30, 27th Road, Itaewon-ro, Yongsan-gu, Seoul 140-863, Republic of Korea.
ტელ./Tel.: +82-2-792-7118 / 7171; ფაქსი/Fax: +82-2-792- 3118; ელ.ფოსტა/ E-mail: seoul.emb@mfa.gov.ge